**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მინდაძე ალექსანდრე ანატოლის ძე

ა. მინდაძე

მინდაძე ალექსანდრე ანატოლის ძე (დ. 26. IV. 1949, მოსკოვი), სცენარისტი და კინორეჟისორი. რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1984), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1991). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სასცენარო ფაკ-ტი (1972). მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „სიტყვა დაცვისათვის“ (1977; იმავე წელს საკავშ. კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო სცენარისთვის; სსრკ ლენინური კომკავშირის პრემია, 1979), „მოსახვევი“ (1978), „მელიებზე ნადირობა“ (1980), „გაჩერდა მატარებელი“ [1982, სან-რემოს (იტალია) საავტორო ფილმების საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო სცენარისთვის; ძმები ვასილიევების სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია, ორივე 1984], „პლანეტების აღლუმი“ (1984), „პლუმბუმი, ანუ სახიფათო თამაში“ (1986; იმავე წელს სენატის ოქროს მედალი ვენეციის საერთაშ. კინოფესტივალზე), „მსახური“ (1988; რუსეთის კინოაკადემიის პრემია „ნიკა“ საუკეთესო სცენარისთვის, 1989; სსრკ სახელმწ. პრემია), „პიესა მგზავრისთვის“ (1995; იმავე წელს – ბერლინის საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი „ვერცხლის დათვი“), „ჟამი მოცეკვავისა“ (1997; რუს. კინომცოდნეთა და კინოჟურნალისტთა პრემია „ოქროს ვერძი“, პრემია „ნიკა“ საუკეთესო სცენარისთვის, ორივე 1997; ყველა ფილმის რეჟ. ვ. აბდრაშიტოვი), „მამუკა“ (ა. გრებნევთან ერთად, რეჟ. ე. გინზბურგი, 2001), „ტრიო“ (რეჟ. ა. პროშკინი, 2003), „მაგნიტური ქარიშხლები“ (რეჟ. ვ. აბდრაშიტოვი, 2003; იმავე წელს პრემია „ოქროს ვერძი“, პრემია „ნიკა“ საუკეთესო სცენარისთვის), „კოსმოსი, როგორც წინათგრძნობა“ (რეჟ. ა. უჩიტელი, 2005; იმავე წელს პრემია „ოქროს ვერძი“ და „ოქროს არწივი“ საუკეთესო სცენარისთვის) და სხვ. როგორც რეჟისორმა საკუთარი სცენარებით გადაიღო ფილმები: „განტვირთვა“ (2007; იმავე წელს რუს. კინომცოდნეთა და

კინოკრიტიკოსთა გილდიის პრემია „თეთრი სპილო“ საუკეთესო სცენარისა და სარეჟისორო დებიუტისთვის), „შაბათ დღეს“ (2010; პრემია „ოქროს არწივი“, 2011), „საყვარელი ჰანსი, ძვირფასი პიოტრი“ (2015; პრემია „ოქროს არწივი“, 2016; პრემია „ნიკა“ საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის და სცენარისთვის; რუს. კინომცოდნეთა და კინოჟურნალისტთა ეროვნ. პრემია „თეთრი სპილო“ საუკეთესო ფილმის, სცენარისა და რეჟისურისთვის, ყველა 2016) და სხვ. მიღებული აქვს ეროვნ. და საერთაშ. კინოპრემიები კინემატოგრაფში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

***მ. კერესელიძე***

---